

ხელნაწერის უფლებით

ნინო ბეგალიშვილი

კლიმატის ცვლილების გავლენა მდინარეულ ჩამონადენზე საქართველოში

11.00.07. – ხმელეთის ჰიდროლოგია, წყლის რესურსები და ჰიდროქიმია

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები :

აკადემიკოსი გ.სვანიძე

ტექნ. მეცნ. დოქტორი,
პროფესორი გ.გრიგოლია (თსუ)

შ ი ნ ა ა რ ს ი

	შესავალი.....	3
თავი 1.	წყლის ბალანსის მდგენელების შეფასების ზოგიერთი მეთოდური საკითხი.....	7
თავი 2.	საქართველოს მდინარეთა ზოგიერთი აუზისათვის მიკროკლიმატის და ჩამონადენის საუკუნეობრივი ცვლილებების შეფასება ემპირიული მონაცემების ანალიზის საშუალებით	29
	21. აცივებისა და დათბობის ზონებში ტენდენციის მდგენელების კლიმატურ ცვლილებათა შეფასება.....	29
	22. ზოგიერთ მდინარეთა წყალშემკვებისათვის წყლის ბალანსის კომპონენტების კლიმატური ცვლილებებისა და მათი ურთიერთკავშირის გამოკვლევა.....	37
თავი 3.	საქართველოში კლიმატურ ცვლილებებზე მდინარეული ჩამონადენის რეაქციის გამოკვლევა.....	45
	31 აგროცანის დასმა.....	45
	32. კლიმატური ფაქტორების ცვლილებათა მიმართ მდინარეული ჩამონადენის მბრძნობიარობის შეფასების შედეგები.....	55
	33. მდინარეული ჩამონადენის მბრძნობიარობისა და მისი ცვლილების შედარება.....	76
	34. დასკვნა.....	83
თავი 4.	მთის წყალსატევების მიმდებარე ტერიტორიის მიკროკლიმატზე გავლენის გამოკვლევა.....	90
	4.1. ენბურის (ჯვრის) წყალსაცავის მიკროკლიმატზე გავლენის შეფასება ემპირიული მონაცემების საშუალებით.....	91
	4.2. წყალსაცავის მიკროკლიმატზე გავლენის შეფასება მათემატიკური მოდელის გამოყენებით.	122
	დასკვნა.....	125

შ ი ნ ა ა რ ს ი

	შესავალი.....	3
თავი 1.	წყლის ბალანსის მდგენელების შეფასების ზოგიერთი მეთოდური საკითხი.....	7
თავი 2.	საქართველოს მდინარეთა ზოგიერთი აუზისათვის მიკროკლიმატის და ჩამონადენის საუკუნეობრივი ცვლილებების შეფასება ემპირიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე	29
	2.1. აცივებისა და დათბობის ზონებში ტენდენციის მდგენელების კლიმატურ ცვლილებათა შეფასება.....	29
	2.2. ზოგიერთ მდინარეთა წყალშემკვებისათვის წყლის ბალანსის კომპონენტების კლიმატური ცვლილებებისა და მათი ურთიერთკავშირის გამოკვლევა.....	37
თავი 3.	საქართველოში კლიმატურ ცვლილებებზე მდინარეული ჩამონადენის რეაქციის გამოკვლევა.....	45
	3.1. ამოცანის დასმა.....	45
	3.2. კლიმატური ფაქტორების ცვლილებათა მიმართ მდინარეული ჩამონადენის მგრძობიარობის შეფასების შედეგები.....	55
	3.3. მდინარეული ჩამონადენის მგრძობიარობისა და მისი ცვლილების შეფასება.....	76
	3.4. დასკვნა.....	83
თავი 4.	მთის წყალსატევების მიმდებარე ტერიტორიის მიკროკლიმატზე გავლენის გამოკვლევა.....	90
	4.1. ენბურის (ჯვრის) წყალსაცავის მიკროკლიმატზე გავლენის შეფასება ემპირიული მონაცემების საფუძველზე.....	91
	4.2. წყალსაცავის მიკროკლიმატზე გავლენის შეფასება მათემატიკური მოდელის გამოყენებით.....	122
	დასკვნა.....	125

თემის აქტუალობა და პრობლემის მდგომარეობა.

დედამიწაზე მიმდინარე გლობალური დათბობის ფონზე, რაც მსოფლიო მეტეოროლოგიური ქსელის მონაცემებით შეფასებულია დაახლოებით 06 °C XX საუკუნის განმავლობაში, სამხრეთ კავკასიაში კლიმატური სისტემის რეაქცია ძალზე არაერთგვაროვანი აღმოჩნდა კერძოდ, გამოვლენილი იყო საკმარისად მნიშვნელოვანი საუკუნოვანი დათბობა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ცალკეულ შემთხვევაში საშუალო წლიური ტემპერატურის ზრდის მაქსიმალური შეფასებებით 0.5-0.7 °C და სომიური აციკება დასავლეთ საქართველოში ტემპერატურის მაქსიმალური დაწვეით მის სოციერთ რაიონებში 0.3-0.5 °C-ით (კთავართქილაძე, ევლიზბარაშვილი, დ.მუშლაძე, ჯ ვანნაძე, 1999). არაერთგვაროვანი აღმოჩნდა, აგრეთვე, ნალექების ჯამების ცვლილება 1936-1995 წლების განმავლობაში დაკვირვებათა 60-წლიანი პერიოდისათვის (ლ.პაპინაშვილი, ევლიზბარაშვილი, 1999, 2001) სოციერთი მონაცემით ნალექების შემცირება აღინიშნა ყოფხეთის დაბლობზე, აჭარის მაღალმთიან რაიონებში და კავკასიონის მაღალმთიან ზონაში, ხადაც მაქსიმალურმა შემცირებამ შეადგინა 5-10 მმ ყოველი 10-წლიანი პერიოდისათვის. ამასთან, ატმოსფეროს ტენშემცველობა საქართველოს ტერიტორიაზე მთლიანობაში არ შემცვლილა, თუმცა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში დაფიქსირებული იყო მათი საუკუნეობრივი სვლის ორივე ნიშნის ტენდენციები (ნ.ბეგალიშვილი, კთავართქილაძე, ნ.ნებეიძე, მ.ბატიშვილი, 1998).

ბუნებრივია; მისალოდნელი იყო ჩამონადენის განსხვავებული რეაქცია კლიმატური ცვლილებების ამ არაერთგვაროვნობის მიმართ საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონების მდინარეთა აუზებში. კლიმატური ცვლილებები, უპირველეს ყოვლისა ტემპერატურის და ნალექების ვარიაციები, მოქმედებენ რა ჰიდროლოგიური ციკლის კომპონენტებზე - აორთქლებაზე, ევაპორტრანსპირაციაზე, თოვლ- წვიმიან და მყინვარულ საზრდობაზე, ფილტრაციაზე, გრუნტის წყლებზე, მდინარეთა ჩამონადენზე, იწვევენ მათი რეჟიმების ცვლილებას.

ამრიგად, კლიმატური ცვლილებების არაერთგვაროვნობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგად შეიძლება გახდეს მდინარეთა ჩამონადენის განსხვავებული რეაქცია, მათი ჰიდროლოგიური რეჟიმის და მთლიანად საქართველოს წყლის რესურსების ცვლილება. ამ ცვლილებათა ტენდენციებზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეკონომიკის დარგების მდგრადი განვითარება, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის და ჰიდროენერგეტიკის, მოსახლეობის წყალმომარაგების, წყალრე- სურსული და წყალსამეურნეო სისტემების ფუნქციონირება. ამიტომ, კლიმატური ვარიაციების მიმართ მდინარეთა ჩამონადენის რეაქციის, მდინარეთა ჰიდროლოგიური რეჟიმისა და წყლის რესურსების ცვლილების გამოკვლევა ძალზე აქტუალურია და გააჩნია როგორც სამეცნიერო, ასევე გამოყენებითი მნიშვნელობა აღვნიშნავთ, რომ პირველად ამ მიმართულებით გამოკვლევები დაწყებული იყო საქართველოში კლიმატის ცვლილების პირველი ეროვნული შეტყობინების პროექტის შესრულებასთან დაკავშირებით (გ.სვანიძე, ნ.ბეგალიშვილი, ვ.ცომაია, გ.ხმალაძე, ნ.ნ.ბეგალიშვილი, 1998-1999).

კვლევის მიზანი და ამოცანები ხადისერტა(ციო ნაშრომის ძირითადი მიზანია მდინარეული ჩამონადენის მგრძობიარობის გამოკვლევა წყალშემკრებზე კლიმატურ ცვლილებათა მიმართ და საქართველოს მთიანი პირობებში ჩამონადენის რეაქციის შეფასება კლიმატის საუკუნოვან ცვლილებაზე. დამატებით, კვლევის მიზანია, აგრეთვე, მთის წყალსატევების მიმდებარე ტერიტორიის მიკროკლიმატზე გავლენის შესწავლა.

აღნიშნული კვლევის მიზნების განხორციელებამ მოითხოვა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- წყლის ბალანსის კომპონენტების - ნალექების, აორთქლებისა და ჩამონადენის შეფასებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთიანი პირობებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი მეთოდური საკითხის დამუშავება
- დაკვირვებათა . მიდრომეტეოროლოგიური რიგების სტატისტიკური და კორელაციური ანალიზის საფუძველზე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ძირითად მდინარეთა ტემპერატურის, სინოტივის, ნალექებისა და ჩამონადენის საუკუნოვან ცვლილებათა შეფასება
- მდინარის წლიურ/თეოური ჩამონადენის ფორმირების და წყალშემკრებზე კლიმატურ ცვლილებებზე მისი რეაქციის მათემატიკური მოდელის დამუშავება.
- ჩამონადენის მგრძობიარობის შესწავლა და მისი რეაქციის შეფასება, ჩამონადენის შესაძლო ცვლილების სკენარების შემუშავება რეგიონში საუკუნოვანი კლიმატური ცვლილებების გათვალისწინებით.
- მთის წყალსატევების (წყალსაცავების) მიმდებარე ტერიტორიის მიკროკლიმატზე გავლენის შეფასება, შესაბამისი თერმოდინამიკური და ემპირიულ-სტატისტიკური მოდულების გამოყენებით.

საინფორმაციო ბაზა და კვლევის მეთოდები. საშუაოს შესრულების პროცესში გამოყენებული იყო სახელმწიფო მიდრომეტეოროლოგიური ქსელის დაკვირვებათა მონაცემების საინფორმაციო ბაზები საქართველოს 90 მეტეოროლოგიური სადგურისა და საგუშაგოსი 1905-1995წწ. პერიოდისათვის. მონაცემთა ბაზის ძირითადი ნაწილი შეიქმნა საქართველოში კლიმატის ცვლილების პირველი ეროვნული შეტყობინების პროექტის შესრულებისას (1997-1999). დამატებით, დასრული ამოცანების გადასაწყვეტად მიდრომეტეოროლოგიური მონაცემების სპეციფიკური ბაზები შედგენილი იყო დისერტანტის თანავეტორობით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტისა და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიდროლოგიისა და მიდრომეტეოლოგიის კათედრის თანამშრომლებთან ერთად.

მიდრომეტეოროლოგიურ მონაცემთა რიგების ანალიზი შესრულებულია მათემატიკური სტატისტიკისა და ალბათობის თეორიის მეთოდების გამოყენებით. კლიმატის ცვლილებაზე ჩამონადენის რეაქციის გამოკვლევის ამოცანების გადასაწყვეტად და მთის წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიის მიკროკლიმატზე გავლენის შესასწავლად გამოყენებული იყო მათემატიკური მოდელირების მეთოდი წყლის ბალანსის განტოლების, აგრეთვე მოცემული ფონური ქარისა და ტურბულენტობის კოეფიციენტის პირობებში წყალსაცავზე და მის მახლობლად ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში სითბოს/ტენის გადატანის თერმოდინამიკური განტოლების ანალიზური ამოსხნების საფუძველზე.

კვლევის მეცნიერული სიახლე და დაცვაზე გასატანი დებულებები. ნაშრომი წარმოადგენს მიდრომეტეოროლოგი ურ მონაცემთა რიგების სტატისტიკური და

კორელაციური ანალიზის საფუძველზე შესაბამისად აცივების (დასავლეთ საქართველო) და დათბობის (აღმოსავლეთ საქართველო) რეგიონებში განლაგებულ მდინარეთა ცალკეული აუზებისათვის მიკროკლიმატისა და ჩამონადენის ურთიერთდაკავშირებული საუკუნოვანი ცვლილებების დადგენის პირველ ცდას.

წლიურ/თვიური ჩამონადენის ფორმირების მათემატიკური მოდელის გამოყენებით პირველად არის ნატარებული წყალშემკრებზე ცალ-ცალკე პაერის ტემპერატურის, ნალექების, სინოტივის, რადიააციისა და ღრუბლიანობის კლიმატური ცვლილებების მიმართ მდინარეების რიონისა და მტკერის ჩამონადენის მგრძობიარობის შეფასება და ურთიერთშედადება

პირველად არის შესწავლილი მდინარეების რიონის და მტკერის ჩამონადენის შესაძლო რეაქცია შესაბამისად დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში საუკუნოვანი კლიმატურ ცვლილებებზე.

მდ ენგურზე ჯერის წყალსაცავის მაგალითზე პირველად არის შესრულებული მთის წყალსატევის მიმდებარე ტერიტორიის მიკროკლიმატზე გავლენის კომპლექსური შეფასება როგორც დაკვირვებათა ემპირიული რიგების სტატისტიკურ-ანალიზური ანალიზის, ასევე მათემატიკური მოდელირების მეთოდების გამოყენებით.

დაცვის საგანს წარმოადგენს:

- საქართველოს რიგი მაღალმთიანი სადგურებისათვის თვის ან თოვლდაგროვების პერიოდის განმავლობაში ნალექების რაოდენობაზე ჩამონადენის ფენის გადამტეების დაკვირვებული ფაქტის ფიზიკური ახსნა, რომლის მიხედვით თოვლში წყლის დამატებითი მარაგის წარმოქმნა ხდება თოვლის საფარში ატმოსფერული ტენის კონდენსაციით.
- კლიმატური მახასიათებლების და ჩამონადენის პარამეტრების საუკუნოვანი ცვლილებათა რაოდენობრივი შეფასების შედეგები, შესაბამისად აცივების და დათბობის რაიონებში განლაგებულ მდინარეთა აუზებისათვის, აგრეთვე მდინარის ჩამონადენისა და ნალექებს შორის ემპირიულ-სტატისტიკური დამოკიდებულებები.
- ტემპერატურისა და ნალექების კლიმატური ცვლილებების მნიშვნელობათა მიხედვით მდინარის თვიური ან წლიური ჩამონადენის რყევადობის გაანგარიშების მათემატიკური მოდელები
- წყალშემკრებზე კლიმატური ცვლილებების მიმართ საქართველოს მდინარეთა ჩამონადენის მგრძობიარობის რაოდენობრივი შეფასებები.
- კლიმატური და კიდროლოგიური პარამეტრების ურთიერთდაკავშირებულ ცვლილებათა სკენარები, რომლებიც მოსალოდნელია საუკუნოვანი დათბობის და აცივების რეგიონებში უახლოეს ათწლეულებში.
- მთის წყალსატევის მიმდებარე ტერიტორიის მიკროკლიმატზე გავლენის სიერცობრივი მასშტაბების შეფასებები.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. წყალშემკრებზე კლიმატური ვარაიციების მიმართ მდინარეული ჩამონადენის მგრძობიარობის კვლევის ძირითადი შედეგები, აგრეთვე კლიმატური ცვლილებების მიმართ ჩამონადენის რეაქციის გაანგარიშებები და ამ ცვლილებათა შემოთავაზებული სკენარები შევიდა საქართველოს კლიმატის ცვლილების პირველი ეროვნული შეტყობინების ანგარიშში. ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრება, აგრეთვე, მიღებული შედეგების გამოყენების შესაძლებლობით როგორც სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში, ასევე გამოყენებითი

ამოცანების გადაწყვეტაში კონსოლიდირებული მდგომარეობის განვითარების გრძელვადიანი დაგეგმარებისათვის, სასმელი და კონსერვაციული-სამეურნეო წყლებით მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის, წყლის რესურსების ეფექტური გამოყენებისა და მართვისათვის, პერსპექტივაში მტკნარი წყლის საექსპორტო ინდუსტრიის შექმნის მეცნიერული დასაბუთებისათვის, წყაროს და მინერალური წყლების ჩამოსხმის ბიზნესის განვითარების ნათელი, რასაც სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება ისეთი განვითარებადი ქვეყნისათვის, როგორც საქართველო.

ნაშრომის აბრუნება. კვლევის შედეგები მოხსენებული იყო XI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე ჰიდროლოგიაში (პოლონეთი, ვროცლავი, 1996), ი.ე. ჯავახიშვილის დაბადების 120- და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 80-წლისთავებისადმი მიძღვნილ შესაბამისად V და VI რესპუბლიკურ კონფერენციებზე გეოგრაფიის, ჰიდრომეტეოროლოგიის, გეოფიზიკის და გეოლოგიის დარგში (თბილისი, 1996, 1998), პალეოციტის ნაციონალური უნივერსიტეტის ჰიდროლოგიური სემინარის სხდომებზე (ირლანდია, 1996), აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიებზე და კონფერენციებზე, თბილისის ი.ე. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის ჰიდროლოგიის და ჰიდროგეოლოგიის კათედრის სამეცნიერო სემინარებზე.

პუბლიკაციები, სადისერტაციო ნაშრომში შესული კვლევის შედეგები გამოქვეყნდა 8 სამეცნიერო სტატიაში, მათგან 5- რეფერირებულ სამეცნიერო გამოცემებში.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა სადისერტაციო ნაშრომში შედგება შესავლის, 4 თავისა და დასკვნისაგან (ძირითადი შედეგები). ის შეიცავს 127 გვერდს, მათ შორის 15 ნახაზს და 21 ცხრილს. გამოყენებული ლიტერატურის სია შედგება 87 დასახელების სამეცნიერო ნაშრომისაგან ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

თავი I. წყლის გალანსის მდგენელების შეფასების ზოგიერთი მეთოდური საკითხი

აორთქლება (E) მდინარეთა აუზებში რთული პროცესია და მისი გაზომვა არ არის გათვალისწინებული სტანდარტულ ჰიდრომეტროლოგიურ დაკვირვებაში. ამიტომ მიმართავენ აორთქლების გამოთვლის მეთოდს შემდეგი მახასიათებლების გამოყენებით: ნალექების წლიური ჯამი (R მწ), ქაერის საშუალო წლიური ტემპერატურა (t °C), სინოტივის დეფიციტი (D კკ), ფარდობითი სინოტივე (f %), წყლის აორთქლის დრეკადობა (e , მმ) და სხვ (ცნობილია საკმაოდ მრავალრიცხოვანი გამოთვლითი ფორმულები, რომლებიც ითვალისწინებს ამ მახასიათებლების სხვადასხვა ურთიერთანაფართობას. თუ ფორმულაში შედის მხოლოდ ერთი პარამეტრი, ამას მიეყვართ შეცდომამდე აორთქლების გაანგარიშებაში ეს შეცდომა შეიძლება დაყვანილ იქნას მინიმუმამდე, მრავალფაქტორიანი დამოკიდებულების გამოყენების შედეგად. გამოთვლებისა და შედარებისათვის საჭირო მასალები დასაყვეთ საქართველოს ზოგიერთი მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემების მიხედვით წარმოდგენილია ცხრ 1-ში.

ამ მონაცემების საფუძველზე შედგენილია, მაგალითად, E -ს D -ზე დამოკიდებულების (ნახ. 1(ა)), E -ს D ნამრაველზე დამოკიდებულების (ნახ. 1(ბ)) გრაფიკები, რომლებიც წარმოადგენენ მრუდების ერთობლიობას ნალექების გრადაციების მიხედვით მათ გაანჩიათ, როგორც მრუდწირული, ასევე წრფივი ფორმები შეიძლება მათი გამარტივება ნამრავლების PD (ნახ 1(ბ)) და PDt (ნახ. 1(დ)) გამოყენებით როგორც ნახ 1-დან ჩანს ამ შემთხვევაში დამოკიდებულება წარმოგვიდგება წრფივი გრაფიკების სახით. ამრიგად, აორთქლების გამოსანგარიშებლად შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი დამოკიდებულებები

$$E \text{ და } D \text{ შორის} \quad E = 350\sqrt{D}; \quad (1)$$

$$E, P \text{ და } D \text{ შორის} \quad E = 0.026PD + 600; \quad (2)$$

$$E, P, t \text{ და } D \text{ შორის} \quad E = 0.0017PDt + 600. \quad (3)$$

ფორმულებიდან (2) და (3) მიიღება

$$E = PD(0.013 + 0.00085t) + 600. \quad (4)$$

პრაქტიკული გამოთვლებისათვის საკმაოდ დამაკმაყოფილებელ შედეგს იძლევა ფორმულა (4), რაც კარგად ჩანს ცხრ. 1-დან: საშუალო ცდომილება შეადგენს 2.3%, მაქსიმალური არ აღემატება 4.2%. ასეთი შედეგი დამახასიათებელია ძლიერ დანესტიანებული რაიონებისათვის, რომლის ტიპურ მაგალითს წარმოადგენს კოლხეთის შავი ზღვის სანაპირო და მისი მიმდებარე რაიონები.


მაუდიის [1] ფორმულას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერი ტემპერატურისათვის აქვს შემდეგი სახე

$$E = \frac{r}{L} th \left(\frac{PL}{r} \right) = (3.5t + 39.5) th \left(\frac{P}{3.5 + 39.5} \right), \quad (5)$$

ცხრილი 1. მეტეოქსელის ზოგერთი მონაცემი დასაკლელ საქართველოსათვის და აორთქლების გაანგარიშების შედეგები

Пункт метеосети	Высота над ур. м. Нм	Температура °С	Скорость, м/сек	Давление вихристой, д.мм	Величина испарения	Произведение		Результат расчёта испарения	
						хd	td	Z, мм	ошибка, %
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
Сухуми	4	14.1	1366	5.6	768	7650	79.0	791	3.0
Гали	63	13.7	1569	4.3	780	6747	58.9	766	1.8
Анаклия	3	14.0	1458	3.9	721	5686	54.6	742	2.9
Зугдидი	117	13.8	1616	4.7	810	7595	64.9	788	2.7
Сенаки	40	14.5	1669	5.4	841	9013	78.3	828	1.6
Мухური	260	13.8	2097	6.0	903	12582	82.8	911	0.9
Цаленджихა	222	13.3	1825	4.9	824	8943	65.2	817	0.9

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
Ахути	172	14.1	1719	5.4	867	9283	76.1	832	4.0
Погн	3	14.1	1661	4.1	753	6810	57.8	770	2.3
Дабла-Духе	221	13.8	1818	5.6	875	10181	77.3	852	2.6
Самгредня	28	14.4	1375	5.2	866	7150	74.9	781	3.1
Кутаиси	114	14.5	1380	6.3	847	8694	91.4	820	3.2
Хонц	114	14.3	1646	5.5	852	9053	78.7	828	2.8
Цхалтубо	121	14.6	1692	6.0	856	10152	87.6	858	0.9
Орпири	300	12.8	1569	5.2	813	8159	66.6	795	2.2
Ланчхути	29	13.8	1824	4.4	822	8026	60.7	799	2.8
Ацапа	196	13.3	2084	4.3	811	8961	57.2	818	0.9
Супса	7	13.5	2192	3.5	812	7672	47.3	788	3.0
Шрома	150	14.0	2243	4.4	858	9869	61.6	846	1.4
Анасули	115	13.6	2115	4.4	838	9306	59.8	829	1.1
Кобулет	7	13.4	2320	3.5	766	8120	46.9	798	4.2



ახ. 1. აორთქლების (E მმ) დამოკიდებულება: ა) სინოტივის დეფიციტზე (D , მმ);
 ბ) დეფიციტის (D) და წალეკების (P) ნამრავლზე; გ) დეფიციტის (D) და ტემპერატურის
 დ) სიდიდით ნამრავლზე; დეფიციტის (D), ტემპერატურის და ნალექების (P)
 ამრავლზე.

სადაც r - სითბური რადიაციის ბალანსია; L - აორთქლების ფარული სითბო, P - ნალექები (მმ), t - ჰაერის ტემპერატურა; $th\left(\frac{PL}{r}\right)$ - ჰიპერბოლური ტანგენსი. საქართველოსათვის შეფარდება th ნიშნის ქვეშ მქცია, ვიდრე 2.0 - 2.2, ამიტომ $th\left(\frac{PL}{r}\right) = 0.97$ [7] კოეფიციენტის ამ მნიშვნელობისა და აგრეთვე გამოსვლის შედეგების სმ-დან მმ-ბში გადაყვანით მივიღებთ:

$$E = 34t + 383 \quad (\text{მმ/წელი}) \quad (6)$$

(6) ფორმულის შემოწმების შედეგად მეტეოსადგურ ყაზბეგი, მაღალმთიანის მონაცემების მაგალითზე, სადაც ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა - 6.1 °C მივიღებთ:

$$Z = 349 - 6 \cdot 10 + 383 = 176(186) \quad \text{მმ/წელი.}$$

მეტეოსადგურ ანასეველისათვის, რომლისათვისაც ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა ტოლია 13,6 °C გვექნება:

$$Z = 34 \cdot 13,6 + 383 = 845(838) \quad \text{მმ/წელი}$$

კარგ თანხვედრას აქვს აღგილი სხვა შემთხვევაშიც, რაც საშუალებას გვაძლევს ფორმულა გამოვიყენოთ პრაქტიკული მიზნებისათვის (ფრინხილებში მითითებულა აორთქლების მნიშვნელობები, აღებული ნაშრომებიდან [3, 4, 7]).

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს მრავალფაქტორიანი ფორმულა, რომელიც შეიცავს ნალექების წლიურ ჯამს (P) და აორთქლების მაქსიმალურ მნიშვნელობას - აორთქლებადობას (E_0):

$$E = E_0 \left[1 + \left(\frac{E_0}{P} \right)^{2.3} \right]^{0.436}, \quad (7)$$

სადაც Z_0 - გამოითვლება მტიურკის, ემარტონის და სხვების [4, 7] განზოგადებული ფორმულებიდან

$$E_0 = 26.6t + 0.01t^2 + 0.95 \sum t + 203. \quad (8)$$

აქ $\sum t$ - ჰაერის საშუალო თვიური დადებით ტემპერატურათა ჯამია.

E_0 და E - ს შესახებ საჭირო მონაცემები წარმოადგენილია სხრ. 2-ში. (8) ფორმულით ნატარებული შეფასებები სავსებით მისაღებია.

კიდევ უფრო დამაკმაყოფილებელი შედეგები მოსალოდნელია (6) და (7) ფორმულების განზოგადოების შედეგად:

$$E = 17.0 + 0.5E_0 \left[1 + \left(\frac{E_0}{P} \right)^{2.3} \right]^{0.436} + 191.5. \quad (9)$$

(9) ფორმულით გამოთვლილი შედეგები წარმოდგენილია ცხრ.2-ში. საკმაოდ დიდი ცდომილებებია მეტეოროლოგიურ საღებურ სოხუმის, ანაკლიას და ფოთის მონაცემებისათვის, რომლებიც განლაგებულია შავი ზღვის სანაპიროზე. ისინი შეადგენენ 9-15% საერთოდ ძლიერ დანესტიანებულ რაიონებისათვის, თუ ჩავთვლით, რომ $E \approx E_0$, მივიღებთ, რომ ცდომილება არ აღემატება 3,5% (მათი მნიშვნელობები მოყვანილია ფრჩხილებში). უნდა აღინიშნოს, ნაღვეების მოყვანილი სიდიდეები მითითებს დასუსტებას, ამიტომ ძლიერ დანესტიანებულ რაიონებისათვის აორთქლების გამოსაწარმოებლად შეიძლება ვისარგებლოდ ფორმულებით (1) და (6).

შემაჯამებელ ცხრ.3-ში მოყვანილია ყველა განხილული ფორმულების მიხედვით გამოთვლის შედეგები, რომელთაგანაც გამომდინარეობს, რომ საუკეთესო შეფასებები მიღებულია სამპარამეტრიან ფორმულით (4). ამ შემთხვევაში მაქსიმალური ცდომილება შეადგენს 4%, საშუალო კი - 2,3%.

ცხრ. 4-ში წარმოდგენილია გამოთვლის შედეგები მდინარე სუფსის და ახლოსმდებარე სხვა აუზებისათვის. მათი შედარება ცხრ. 3-ში მოყვანილ აორთქლების მონაცემებთან საღებურებისათვის დაბა-ციხე, აკანა, სუფსა და შრომა, გვინებებს, რომ ცდომილებები მათთვის არ აღემატება 7-8%, ხოლო საშუალო შეადგენს 5,7%.

მდ.სუფსის აუზის ძირითადი ჰიდროლოგიური მახასიათებლები წარმოდგენილია ცხრ. 5-ში, რომელთა მიხედვით აგებულია ჩამონადენის აუზის სიმაღლეზე დამოკიდებულების გრაფიკები ნახ 2-ზე მოყვანილია სამი წრფე ცალ-ცალკე მდ. გუბაშეკლისათვის (1), მდ. სუფსისათვის (2) და მდ ბახვისწყლისათვის (3). ამ მხრივ შენარჩუნებულია ადრე დადგენილი რეგიონალური დამოკიდებულებები [2, 8] აქვე მოცემულია წყლის ხარჯის Q წყალშემკრების ფართობზე F დამოკიდებულების გრაფიკი აუზის საშუალო დახრილობის i გათვალისწინებით. ის ძირითადად ცალსახა აღმოჩნდა მხოლოდ წყალშემკრებისათვის, რომლის ფართობი ნაკლებია 10 კმ² და დახრილობით მეტი ან ნაკლები 290% მიღებულია შემდეგი სახის განტოლებები.

$$Q = 0.04F + 1.0, i \geq 290\% \quad (10)$$

$$Q = 0.04F + 0.5, i \geq 290\% \quad (11)$$

ყურადღებას იქცევს ასეთი წინააღმდეგობა - სადაც ბახმაროს სიმაღლეზე (1926 მ ზღვის დონიდან) ჩამონადენის ფენა, (6) მრუდის თანახმად, ტოლია 1670 მმ, რაც აღემატება ნაღვეების წლიურ რაოდენობას - 1602 მმ, ანუ ჩამონადენი გამოდის ნაღვეებზე მეტი.

ამ განსხვავებების მიზეზის გამოსაყვანად შეიძლება გავანალიზოთ თოვლის საფარში არსებული წყლის მარაგი დეკადური მონაცემების მიხედვით, იმ რაიონებისათვის, სადაც თოვლის საფარის სისქე აღემატება 1 მ-ს. ასეებია მეტეოროლოგიური საღებური ბახმარო (1926 მ), ჯერის ურელტეხილი (2395 მ), გარის ქედი (1644 მ) და სხვ.

ამ საღებურების მონაცემები - წყლის მარაგი თოვლის საფარში W , ნაღვეები P , თოვლის საფარის სიმაღლე h და პაერის ტემპერატურა t მოყვანილია ცხრ. 6-ში. აქვეა წარმოდგენილი მონაცემები იმ თვეებისათვის, რომელთათვისაც პაერის საშუალო თვიური ტემპერატურა არემატება -2°C , იმისათვის, რომ გამოვირიცხოთ თოვლის საფარში წყლის მარაგის დანაკარგების შემთხვევები. ასეთი ათბობების

ცხრილი 2. გერეოქსელის მონაცემი დასავლეთ საქართველოსათვის და აორთქლების გაანგარიშების შედეგები

Пункт მდგომარეობა	Высота над ур.м. მმ	Слажки х мм	Температура °С	Сумма положительных температур 2°C	Величина испарения со 100 г воды при Z, мм	Испаряемость % мм	Расчетные значения испарения	
							Z, мм	погрешность, % ±
1	2	3	4	5	6	7	8	9
Сухуми	4	1366	14.1	169	768	741	839	9.3 (3.5)
Гали	63	1569	13.7	164	780	725	813	4.2
Анаклия	3	1458	14.0	168	721	737	830	15.1 (2.2)
Зugdidi:	117	1616	13.8	166	810	730	816	0.7
Сенаки	40	1669	14.5	174	841	756	842	0.1
Мукури	260	2097	13.8	166	903	730	805	10.9
Цаленджиха	222	1825	13.3	160	824	711	790	4.1

Продолжение таблицы 2

1	2	3	4	5	6	7	8	9
Ахутн	172	1719	14.1	169	867	741	824	5.0
Потн	3	1661	14.1	169	753	741	826	9.7 (1.6)
Дабла-Циле	221	1818	13.8	166	875	730	810	7.4
Самтредия	28	1375	14.4	173	806	753	851	5.6
Кугансп	114	1380	14.5	174	847	756	855	1.0
Хонш	114	1646	14.3	172	852	749	835	2.0
Цхалтубо	121	1692	14.6	175	866	760	845	2.4
Орглртн	300	1569	12.8	154	813	691	777	4.4
Ланчхутн	20	1824	13.8	166	822	730	810	1.5
Ацана	196	2084	13.3	160	811	711	786	3.1
Сугса	7	2192	13.5	162	812	718	792	2.5
Щрома	150	2243	14.0	168	858	737	810	5.6
Анасеулн	115	2155	13.6	163	838	722	796	5.0
Кобулетн	7	2320	13.4	161	766	714	787	2.7

ცხრილი 3. სხვადასხვა ფორმულებით აორთქლების გამოთვლის შედეგების შედარება


№	Пункт метеосети	Литератур. данные [3,4,7]	Результаты расчета испарения по формулам, мм (%)			
			(1)	(4)	(6)	(9)
1.	Сухуми	768	828(7,8)	791(3,0)	862(12,2)	839(9,3)
2.	Гали	780	726(6,9)	766(1,8)	849(8,9)	813(4,2)
3.	Анаклия	721	691(4,2)	742(2,9)	859(19,1)	830(15,1)
4.	Зугдиди	810	759(6,3)	788(2,7)	852(5,2)	816(0,7)
5.	Сенахи	841	813(3,3)	828(1,6)	876(4,2)	842(0,1)
6.	Мухური	903	857(5,1)	91(0,9)	852(5,7)	805(10,9)
7.	Цаленджихა	824	775(6,0)	817(0,9)	835(1,3)	790(4,1)
8.	Ахური	867	813(6,2)	832(4,0)	862(0,6)	824(5,0)
9.	Поти	753	709(5,8)	777(2,3)	862(14,5)	826(9,7)
10.	დასი-ციხე	875	828(5,4)	852(2,6)	852(2,6)	810(7,4)
11.	სამრედი	806	798(1,0)	781(3,1)	873(8,3)	851(5,6)
12.	კუთაისი	847	879(3,8)	820(3,2)	876(3,4)	855(1,1)
13.	ხონი	852	821(3,6)	828(2,8)	869(2,0)	835(2,0)
14.	ცხატუბო	866	857(1,0)	858(0,9)	879(1,5)	845(2,4)
15.	ორბრი	813	798(1,9)	795(2,2)	818(0,6)	777(4,4)
16.	ლანჯუთი	822	734(10,7)	799(2,8)	852(3,7)	810(1,5)
17.	აიანა	811	726(10,5)	818(0,9)	835(3,0)	786(3,1)
18.	სუპსა	812	655(19,3)	788(3,0)	842(3,7)	792(2,5)
19.	შროვა	858	734(14,5)	846(1,4)	859(0,1)	810(5,6)
20.	სანაბა	838	734(12,4)	829(1,1)	845(0,8)	796(5,0)
21.	კობულეტი	766	655(14,5)	798(4,2)	839(9,5)	787(2,7)

ცხრილი 4. მდ.სუფსისაოთის აორთქლების გაანგარიშების შედეგები (1) და (6) ფორმულებით

№	მეტეოსტანცია	Всего испаряется	Средняя температура воздуха	Температура воздуха		Расчет испарения по формулам, мм (%)		
				Средняя температура	Сумма полож. температур	(1)	(6)	полу сумма (по формуле $z=17t+175\sqrt{d}+191.5$)
		Дециметров	Средняя температура	Сумма полож. температур	(1)	(6)		
1.	Балмаро	1926	4.0	63.5	586	519	553	
2.	Дили-Вани	520	11.5	138	717	774	746	
3.	Набсღავი	475	12.1	145	----	794	----	
4.	ვაკიდჯვარი	400	13.0	156	----	825	----	
5.	დაბლა-ციხე	221	13.8	166	828	852	840 (4,0)	
6.	მაგალი-ეცერა	200	13.2	156	----	832	----	
7.	აიანა	196	13.3	160	726	835	781(3,8)	
8.	გულიანი	180	13.0	156	----	825	----	
9.	შრომა	150	14.0	168	734	859	797 (7,1)	
10.	ხიძნისთავი	142	13.4	161	----	839	----	
11.	ბახვი	120	13.4	161	----	839	----	
12.	ურეკი	30	14.3	172	717	869	793	
13.	სუღა	7	13.5	162	655	842	749(7,8)	

ცხრილი 5. მდ. სუფსის აუზის ჰიდროლოგიური მახასიათებლები

	Площадь водосбора F, км	Средняя высота Н, м	Средний уклон водосбора ‰	Лесистость %	Сток			
					Q м³/с	M л/с км²	h мм	млн м³
Река-Пулки								
Супса-Чохатаური	316	1250	308	68	13.7	43.4	1367	0.432
Супса-Хидмаგალი	1100	970	336	52	45.6	41.4	1304	1.440
Губაზეული-Хидистავი	337	1350	414	71	14.0	41.5	1307	0.441
Бахვისცალი-Бахმარო	33.4	2260	280	17	1.86	55.7	1754	0.056
Бахვისცალი-Квеდა-Бахვი	116	1480	342	43	5.76	49.6	1562	0.181



ახ. 2. ჩამონადენის მოდელის M და ფენის R დამოკიდებულება წყალშემკრების საშუალო სიმაღლეზე H , აგრეთვე წყლის ხარჯის Q დამოკიდებულება წყალშემკრების ართობზე F (წერტილებთან მოცემულია წყალშემკრების დახრილობის i საშუალო იშენელობები, ‰)

შემთხვევები, როდესაც ჰაერის საშუალო თერული ტემპერატურა მეტია - 2.0°C -ზე, საკმაოდ ხშირია.

ცხრ. 6-დან ხანს, რომ თოვლის საფარში წყლის მარაგის მომატება დეკემბერში სადგურ ბახმაროსათვის შეადგენს 200 მმ (366 - 166) 146 მმ ნალექების დროს იქვე, თოვლის საფარში წყლის მარაგის მატება იანვარში შეადგენს 206 მმ (572-366) 157 მმ ნალექების პირობებში ასეთი მდგომარეობა აღინიშნება სხვა შემთხვევებშიც, ანუ თოვლის საფარში წყლის მარაგის ნაზრდი მეტია, ვიდრე მოსული ნალექების რაოდენობა. როგორც ხანს, ეს შეიძლება აიხსნას თოვლის ქვეყნილ ზედაპირზე ატმოსფერულ ტენის კონდენსაციით ავლნიშნავთ, რომ ცნობები ნიადაგში ჰარბი წყლის მარაგის შესახებ მოსულ ნალექებთან შედარებით, რაც აიხსნება ნიადაგის საფარში ატმოსფერული ტენის დამატებითი კონდენსაციით, მოუკანაღია მრავალ სამოცნიერო წყაროში.

ამ ნაშრომებიდან გამოშინარეობს.

- წყლის ორთქლის კონდენსაცია ნიადაგის ფენაში დაიკვირვება რაიონებში, სადაც გაბატონებულია ნოტიო ზღვის ჰაერის მასების გავლენა;
- კონდენსაციის სინქრე ექრდება ქვეყნილი ზედაპირის სიღრმის (სისქის) ზრდის მიმართულებით, და აგრეთვე, ნიადაგის სიმკვრივის შემცირებით.

აღნიშნული კანონზომიერებები ანალოგიით შეიძლება გადაიტანოთ თოვლის საფარზე ამ დებულების დასამტკიცებლად მოვიყენოთ მაგალითი ცხრ 6-დან სადგურ ბახმაროსზე იანვარში, როგორც თუ აღნიშნული, თოვლის საფარში წყლის მარაგის ნაზრდი შეადგენს 206 მმ (572-366) 157 მმ ნალექებისა და 189 სმ თოვლის საფარის სიღრმის დროს, თებერვალში დაიკვირვებოდა შესაბამისად 235 მმ (807-572), 154 მმ და 242 სმ, ეი აღინიშნება თოვლის საფარის სისქის გაზრდა 53 სმ-ით (242-189). გაიზარდა კონდენსაციის შედეგად ტენის რაოდენობა - წყლის მარაგის მატება შეადგენს 29 მმ (235-206). რა თქმა უნდა გავლენის ახდენენ სხვა ფაქტორებიც, რაც კარგად ხანს ცხრ 6-ის მონაცემებიდან მაგარამ ასეთი მიახლოებითი შეფასებაც კი ადასტურებს ატმოსფერული ტენის კონდენსაციის არსებობს თოვლის საფარის ფენაში ის განსაკუთრებით შესამჩნევია თოვლის საფარისათვის, რომლის სიმაღლე არემატება 100 სმ

თოვლის საფარის ფენაში კონდენსირებული ატმოსფერული ტენის სიღრმის გაანგარიშებისათვის, აკებულია თოვლში წყლის მარაგის W დამოკიდებულება მის განმსაზღვრელ ფაქტორებზე სხვადასხვა ვარიანტებში, რომლებიც წარმოდგენილია ნახ.3-ზე ასეცებია:

- მკსიმალური თოვლდაროვების პერიოდში წყლის მარაგის დამოკიდებულება ნალექების ჯამზე ($\sum P_i$) იმ თვეებისათვის, როდესაც ჰაერის საშუალო ტემპერატურა ნაკლებია - 2.0°C , მოცემული W -სათვის შესაბამისი თოვლის საფარის სიმაღლის h -ის გათვალისწინებით (ნახ. 3(ა)).
- W დამოკიდებულება P და h -ის ჯამზე (ნახ. 3(ბ));
- W დამოკიდებულება შესაბამის ნალექებზე (P) თვეების მიხედვით, h -ის მნიშვნელობათა გათვალისწინებით (ნახ. 3(გ)).




ყველა შემთხვევაში მიიღება, რომ W (საერთო და თვეების მიხედვით) იზრდება P და h -ის გაზრდით მათგან საუკეთესო აღმოჩნდა დამოკიდებულება $W = f(x+h)$, რაც გამოისახება ფორმულით:

$$W = 0.89(P+h) + 150.$$

ცხრილი 6. მონაცემები დეკალური თოვლაზომეტრის, შესაბამისი ნალექთა ჯამების, თოვლის საფარის სისქისა და ჰაერის ტემპერატურის შესახებ.

№	Местоания	Высота над ур.м.	Дата образования снежного покрова	Характеристика	Месяц:												конца периода
					X	XI	XII	I	II	III	IV						
1.	2.	3.	4.	5.	6.	7.	8.	9.	10.	11.	12.	13.					
				Запас воды W, мм	----	166	366	572	807	924	----	924					
				Осадки х, мм	----	172	146	157	154	136	----	593					
1.	Бахаро	1926	16/XI	Высота снега h, см	----	69	128	189	242	246	----	246					
				Температура воздуха, °С	----	1.2	-2.7	-5.2	-4.8	-2.3	----	-2.8					
				Запас воды W, мм	----	113	226	377	504	699	----	699					
				Осадки х, мм	----	102	92	81	104	119	----	498					
2.	Крестовый перевал	2395	8/XI	Высота снега h, см	----	45	87	137	175	204	----	204					
				Температура воздуха, °С	----	-4.6	-8.7	-11.4	-10.8	-7.2	----	-8.5					

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
3	I агр. укл: хлебост	1644	I/ХII	Запас воды W, мм	---	65	169	314	571	558	---	558
				Осадки х, мм	---	151	164	174	156	---	348	
				Высота снега h, см	---	32	57	125	173	169	---	169
				Температура воздуха t° C	---	3.2	-0.8	-3.9	-3.6	-0.9	---	-1.2
4	Льбарте	1510	29/ХI	Запас воды W, мм	---	---	---	---	---	---	---	---
				Осадки х, мм	---	156	168	154	160	158	---	314
				Высота снега h, см	---	28	64	130	165	145	---	165
				Температура воздуха t° C	---	3.0	-1.1	-4.0	-3.8	0.8	---	-1.0
5	Ачинск	1880		Запас воды W, мм	---	234	685	1143	1578	1868	---	1868
				Осадки х, мм	---	344	406	390	358	322	---	1476
				Высота снега h, см	---	136	239	339	409	445	---	445
				Температура воздуха t° C	---	1.1	-2.7	-5.5	-5.5	-2.5	---	-3.0
6	Гулаурн	2194	22/ХI	Запас воды W, мм	---	---	---	---	---	---	---	---
				Осадки х, мм	105	99	90	79	95	116	---	380
				Высота снега h, см	11	21	57	85	117	189	---	189
				Температура воздуха t° C	4.0	-1.2	-5.3	-7.7	-7.7	-4.6	---	---
7	Арагац	3230	10/Х	Запас воды W, мм	75	176	232	35.3	487	574	673	673
				Осадки х, мм	74	92	70	80	88	102	138	(707)
				Высота снега h, см	17	48	66	87	104	134	152	577
				Температура воздуха t° C	-0.7	-6.2	-10.5	-12.3	-12.3	-10.2	-5.0	-8.2



ნახ. 3. თოვლის საფარში წყლის მარაგის (W) დამოკიდებულება შესაბამის ნალექისაგან (P) სხვადასხვა ვარიანტებში თოვლის საფარის სიმაღლის (h) გათვალისწინებით.

მიღებული აღნიშვნები: - მონაცემები სადგურ ბახმაროსათვის; ● - მონაცემები სადგურ ჯვრის უღელტეხილისათვის; Δ - მონაცემები სადგურ გაგრის ქედისათვის; + - მონაცემები სადგურ აჩიშოსათვის.

აქ P მთლიანად მშ-ში, ხოლო h - სმ-ში.

ნაღველების $\sum P_i$ გამოკლებით მივიღებთ ფორმულას მაქსიმალური თოვლდაგროვების პერიოდში თოვლის საფარის ფენაში კონდენსირებული ატმოსფერული ტენის ხიდიდის ΔW გამოსახანგარისშებლად

$$\Delta W = W - P = 0.89h - 0.11P + 150 \quad (13)$$

(13)-ის საფუძველზე ΔW გაანგარიშების ცდამიღების მნიშვნელობები, ცხრ.6-ის მონაცემებთან შედარებით, შეადგენს საშუალო - 10%, მინიმალური 2% (სადგურები ანიშხო, ჯერის უელსტეხილი).

კონდენსაციის გარდა თოვლის საფარში წყლის მარაგის მომატება შეიძლება გამოიწვიოს, აგრეთვე, ქარბუქის შედეგად გადმოტანილია თოვლი, მაგრამ ამის წვლილი ძალაზე მცირეა, რაც კარგად ჩანს ცხრ.7-დან [9].

კერძოდ, ქარბუქის შედეგად თოვლის გადატანის ხიდივე არ აღემატება 115 მ³/მ, რაც წყლის ფენაში გადაყვანით 10^4 მ³ თოვლაზომის ფართობზე და გატანილი თოვლის სიმკვრივის გათვალისწინებით - 0.45 გ/სმ³, შეადგენს 5.0-5.2 მმ. ეს ხიდივე არ არემატება თოვლის საფარში წყლის მარაგის საერთო ნაზრდის 15-30 %.

ნამონადენის ფორმირებისას თოვლის საფარის ფენაში ატმოსფერული ტენის კონდენსაციის უპირატესი როლი შეიძლება დადასტურდეს წყლის ბალანსის გაანგარიშებით მეტეოსადგურ ბახმაროსათვის. სადგურ ბახმაროს სიმაღლეზე (1926 მ), ნახ.2-ზე მოცემული მე-6 მრუდის თანახმად, ნამონადენი შეადგენს 1670 მმ; აორთქლება, გამოთვლილი (1) და (6) ფორმულებით, ტოლია 553 მმ (იხ ცხრ.4). მისასადაამე, ნაღველების რაოდენობა შეადგენს

$$P = h + E = 1670 + 553 = 2223 \text{ მმ.}$$

მეორეს მხრივ, ნაღველი შეიცავს თოვლის საფარის ფენაში კონდენსირებულ ტენს $\Delta W = 924 - 593 = 331$ მმ, ან (13) ფორმულის თანახმად - $\Delta W = 0.89 \cdot 246 - 0.11 \cdot 593 + 150 = 304$ მმ. სა იროა გაეითვალისწინოთ აგრეთვე, შესწორება ნაღველსომის წვენებაზე $\Delta P = P_g - P_e = 1869 - 1602 = 267$ მმ, სადაც P_g და P_e შესაბამისად ატმოსფერულ ნაღველების საშუალო წლიური ჯამების შესწორებული და დაკვირებული მნიშვნელობებია [6]- თანახმად. შედეგად ვღებულობდ:

$$P = P_e + \Delta W + \Delta P = 1602 + 304 + 267 = 2173 \text{ მმ.}$$

სხვაობა შეადგენ 50 მმ, ანუ 2.2%, რაც სავსებით მისაღებია პრაქტიკული გამოთვლებისათვის.

ანალოგიურად შეიძლება გამოვთვალოთ წყლის ბალანსი სადგურ ჯვარის უღელტეხილისათვის:

$$P_{\text{დ}} = 1603 \text{ მმ; } P_{\text{გ}} = 1733 \text{ მმ;}$$

სინოტივის დეფიციტი	$D = 1.4$ მმ.
ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა	$t = -0.2$ °C.
აორთქლება, ფორმულით (1),	$E_1 = 414$ მმ.
ფორმულით (2),	$E_2 = 376$ მმ.
აორთქლების საშუალო მნიშვნელობა	$E_{\text{საგ}} = 395$ მმ.

ცხრილი 7. ქარბუქის შედეგად გადატანილი თოვლის მოცულობა 'ხამორის განმეკულობაში' (18) თანახმად)

№	Характеристика	Метеостанция			
		Лесарა	Ашпხო	Гулаური	Араგაი ჩხოხოგორაი
1	2.	3.	4.	5.	6.
А. Исходные данные					
1.	Высота метеостанции Н, м	1610	1880	2199	3270
2.	Осадки:				
	наблюденные $\lambda_{наб}$, мм	1929	3242	1452	1065
	исправленные $\lambda_{исп}$, мм	2092	3682	1585	
3.	Температура воздуха среднегодов- ая $t^{\circ}\text{C}$.	5.8	3.7	2.1	-2.7
	Сумма положительных средне- месячных $\Sigma t^{\circ}\text{C}$	78.7	60.6	51.8	26.3
4.	Действие влажности воздуха ϕ , %	2.9			
5.	Высота снежного покрова h, см	165	438	189	152
Б. Расчетные характеристики					
6.	Испарение по				
	формуле (1) λ_{1} , мм	596	509	454	291
	формуле (6) λ_{2} , мм	580
	формуле (6) λ_{3} , мм	558	509	454	291
7.	Величина конденсации по форму- (13) ΔW , мм	262	384	276	221
8.	Осадки:				
	наблюденные $\lambda_{наб} + \Delta W$, мм	2191	3626	1728	1286
	исправленные $\lambda_{исп} + \Delta W$, мм	2354	4066	1861	
9.	Сток по валовому балансу Q, мм				
	$Q = \lambda_{наб} + \Delta W - z$	1603	3177	1274	1065
	$Q = \lambda_{исп} + \Delta W - z$	1766	3557	1407	
В. Проверка					
10.	Сток по методу				
	$h=f(H)$	1534/1716	2992	1186	777
	Ошибки: мм	69/50	125/565	38/221	288/..
	%	4.3/2.8	4.0/15.9	6.9/15.7	27.0/..

ნამონადენი სადგურის სიმაღლეზე (2400 მ ზღვის დონიდან), გასომეების და შესაბამისი გაანგარიშების მიხედვით, 1980 წლამდე, შეადგენს 47.0 ლ/წმ.კმ² ან 1481 მმ მაშხადამე წყლის ბალანსის მეთოდით გამოთვლილი ნალექების წლიური რაოდენობა ტოლია

$$P = h + E = 1481 + 395 = 1876 \text{ მმ}$$

მეორეს მხრივ, თოვლის საფარის ფენაში კონდენსირებული ატმოსფერული ტენის ხიდივე განხილული სადგურის პირობებში, ცხრ 6-ის და ფორმულა (13)-ის თანახმად, შეადგენს

$$\Delta W = 0.89 \times 204 + 0.11 \times 498 + 150 = 277 \text{ მმ,}$$

ხოლო წლიური ნალექების შესწორებული რაოდენობა $P_3 = 1733$ მმ მაშხადამე ნალექების საერთო რაოდენობა ტოლია $P = P_3 + \Delta W = 1733 + 277 = 2010$ მმ ამრიგად, სხვაობა შეადგენს 137 მმ, ანუ 7%, რაც აგრეთვე გასომეებისა და გამოთვლების სიზუსტის დასაშვებ ცდომილებათა ფარგლებშია. მაგრამ ცდომილება მეტია, ვიდრე სადგურ ბახმაროს შემთხვევაში ეს შეიძლება აიხსნას დასაველეთიდან ხმელეთის სიღრმეში გადაადგილების შედეგად კაერის მასებში ტენის შემცირებით ამაზე მოწმობენ მცირეთოვლიან რაიონებში შავი ზღვის სანაპიროდან სხვადასხვა მანძილებით დაშორებული, შესაბამისად მდინარეების ტეხურას, მზიმთას, არაგვისა და კასახის ზემო წელში განლაგებული მეტეოსადგურებისათვის - ლებარდე, ნიშხა, გუდაური და არაგაცი, ნამონადენის გამოთვლის შედეგები.

ყველა საჭირო საწყისი მონაცემი, აგრეთვე ნამონადენის გამოთვლისა და მის განსაზღვრაში დაშვებული ცდომილებათა შემოწმების შედეგები, მოყვანილია ცხრ 8-ში

ამ ცხრილის მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ ΔW გათვალისწინების გამო, ნამონადენის გამოთვლილი მახასიატებელი მიიღება უფრო მეტი, ვიდრე ფაქტიური მონაცემებიდან ნამონადენის ფენის წყალშემკრების საშუალო სიმაღლეზე დამოკიდებულების საფუძველზე განსაზღვრული სიდიდე. მათ შორის სხვაობა იზრდება შავი ზღვის სანაპიროდან პიდროლოგიური კვეთის დაშორებასთან ერთად. მაგალითად, სადგურისათვის არაგაცი, მაღალმთიანი, რომელიც მდებარეობს სწორ ხაზზე ზღვის სანაპიროდან 290 კმ-ის დაშორებით, ეს ცდომილება იზრდება 27%-მდე, ე.ი. ნამონადენის გამოთვლილი მნიშვნელობა მეტია ფაქტიურზემითითებული სიდიდით.

ამასთან ერთად, სადგურებისათვის, რომლებიც მდებარეობენ სანაპიროდან 60-70 კმ მანძილზე, ხოლო (კალკულ შემთხვევებში 200-240 კმ-ის დაშორებით (ჯერის უღელტეხილი, გუდაური), განსხვავება ნამონადენი გამოთვლილ და ფაქტიურ მონაცემებს შორის 7%-ზე ნაკლებია. ამრიგად, ჩატარებული შეფასებები მიუთითებენ, რომ წყალ-ბალანსურ გაანგარიშებებში კონდენსირებული ტენის გათვალისწინების მიზნით, საჭიროა ნალექმზომის ჩვენებებში შესწორებები შევიტანოთ.

მიღებული შედეგები ზოგადათ ხსნის თოვლის საფარში წყლის მარაგის დაკვირვებულ მატებას მოსულ ნალექებთან შედარებით უხვ თოვლიან რაიონებში თოვლის ფენაში ტენის კონდენსაციით. ამ მოკლების მრავალი მხარე უცნობი რჩება მაგალითად, დასადგენია როგორ იცვლება თოვლის საფარში ატმოსფერული

ტენის აკუმულაცია დღისით და ღამით, მოდრუბლულ და ნათელ დღეებში ი, წვიმაში და თოვანში, ნისლში და სხვა მეტეოპირობებში.

შენიშვნა ჩამონადენის გაანგარიშებისათვის შესაბამის სიმაღლეებზე:

- სადგურისათვის ღუბარდე - გამოყენებულია შემდეგი ქიდროკვეთების მონაცემები მდ. ღუბარდე - კურ. ღუბარდე და მდ. ტეხურა - ს. ნაქალაქევი, რომელთათვისაც ჩამონადენი შეადგენს შესაბამისად 1534 და 1830 მმ, ხოლო წყალშემკრებთა საშუალო სიმაღლეებია 2340 და 1160 მ.
- გუდაური - ქიდროკვეთების მონაცემები მდ თეთრი-არაგვი - ს მღვთა და მდ. თეთრი არაგვი - ს ფასანაური, რომელთათვისაც ჩამონადენი შეადგენს შესაბამისად 1572 და 1128 მმ, ხოლო წყალშემკრებთა საშუალო სიმაღლეებია 2620 და 2130 მ.
- არაგაცი მაღალმთიანი - ქიდროკვეთების მონაცემები მდ. მდ. კასახი - ს. აპარანი და მდ. გეხაროტის - ს. არაგაცი, რომელთათვისაც ჩამონადენი შეადგენს შესაბამისად 74 და 676 მმ, ხოლო მათი წყალშემკრებების საშუალო სიმაღლეებია 2330 და 3100 მ.
- აშინხო - ჩამონადენის რუკის თანახმად [5] სადგურის რაიონში გადის ჩამონადენის იზოხაზი 80-100 ლ/წმ.კმ², მაშასადამე ჩამონადენი შეიძლება მივიღოთ 95 ლ/წმ.კმ² რიგისა ანუ 2992 მმ.

ქიდრომეტეოროლოგიურ ქსელში დაკვირვებათა არსებული სისტემა არ იძლევა საშუალებას ამ პროცესების ზუსტი შეფასებისა. უფრო მეტად, გასული საუკუნის 90-იან წლებში შეწყვეტილი იყო დეკადური თოვლაზომებები. ამიტომ, დასმული ამოცანის საბოლოო გადაწყვეტისათვის საჭიროა აღდგეს რეგულარული დეკადური თოვლაზომებები და უნდა შესრულდეს სპეციალური ექსპერიმენტული გამოკვლევები

საზოგადოებრივი ლიტერატურა – REFERENCES

1. Будыко М.И. - Тепловой баланс земной поверхности Л., Гидрометеониздат, 1956.
2. Владимирова Л.В., Гигиенишвили Г.Н., Джавахишвили Л.М., Закарашвили Н.Н. - Водный баланс Кавказа и его географические закономерности. Тбилиси, "Мелницереба", 1991.
3. Константинов А.Р. - Испарение в природе. Л., Гидрометеониздат, 1968.
4. Прогноз гидрометеорологических условий Колхидской низменности после осушения. Л., Гидрометеониздат, 1983.
5. Сванидзе Г.Г., Цома В.Ш. и др. - Водные ресурсы Закавказья. Л., Гидрометеониздат, 1988.
6. Справочник по климату СССР. Вып. 14. Л., Гидрометеониздат, 1970.
7. Тюрк Л. Баланс почвенной влаги. Л., Гидрометеониздат, 1958.
8. Хмаладзе Г.Н. Нормы изменчивости годового стока. Ресурсы поверхностных вод СССР. Западное Закавказье. Том 9, вып. 1. Л., Гидрометеониздат, 1969.
9. Цома В.Ш. Снежные переносы, пульсация ледников в горах Кавказа и их последствия. Опасные гидрометеорологические явления на Кавказе. Л., Гидрометеониздат, 1983.

თავი 2. საქართველოს მდინარეთა ზოგიერთი აუზისათვის მიკროკლიმატის და ჩამონადენის საშუალოებრივი ცვლილებების შეფასება ემპირიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე

2.1. აცივებისა და ღათობის ზონებში ტენზონის მდგენელების კლიმატურ ცვლილებათა შეფასება

ტენზონის (კაკლი სისტემა „ატმოსფერო-ქვეყნილი ზედაპირი“ მოიცავს წყლის ორთქლის გარდაქმნას შემდეგი სქემის მიხედვით ტენზონა-ღრუბლიანობა-ნალექები-აორთქლება-ჩამონადენი. რადგანაც ღრუბლიანობა, ნალექები და აორთქლება არსებითად დამოკიდებული არიან ატმოსფეროში ტემპერატურასა და სინოტივის რეჟიმზე, მათ ცვლილებას შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ტენზონაზე ამიტომ, ინტერესს წარმოადგენს რეგიონალური კლიმატის ცვლილების გავლენის შეფასება წყლის ბალანსზე და მდინარეთა ჩამონადენის ფორმირებაზე.

ქვემოთ განხილულია ტემპერატურისა და სინოტივის ველის საშუალოებრივი ცვლილების თავისებურებათა გავლენის გამოკვლევა ტენზონის პროცესებზე საქართველოს ორ ტიპურ წყალშემკრებ აუზში, რომლებიც განლაგებულია შესაბამისად აცივების (მთ.სუფსა, დასავლეთი საქართველო) და ღათობის (მდ. ხრამი, აღმოსავლეთ საქართველო) ზონებში.

ტენზონის მდგენელების ცვლილებების შესაფასებლად გამოყენებული იყო იმ სიდიდეების ძირითადი პერიოდული დაკვირვებათა ფაქტობრივი რიგები, რომლებიც განლაგებულია აღნიშნულ წყალშემკრებ ტერიტორიებზე დაკვირვებათა პუნქტების საერთო რაოდენობა თითოეულ აუზში დაახლოებით 10 რიგისა იყო. მაგარამ, მიკროკლიმატის ცვლილების შეფასება ნატარდა შედარებით გრძელრიგის დაკვირვებათა მეტეოსადუგურებისათვის - ანასუელი, აცანა, ბახმარო, დაბლა-ციხე და შრომა - მდინარე სუფსას აუზში. მეტეოლოგიკების ცვლილების სიდიდეები დადგენილი იყო დაკვირვებათა რიგების აპროქსიმაციის საფუძველზე. კერძოდ, ჰაერის ტემპერატურეს, პარციალური წნევის და შეფარდებითი სინოტივის ცვლილებების გასაანგარიშებლად გამოყენებული იყო საშუალოთვიური მონაცემები 90 წლიანი პერიოდისათვის (1906-1995), ხოლო ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურებისათვის - 56 წლიანი ემპირიული რიგები (1936 - 1991). აღმოჩნდა რომ ჰაერის ტემპერატურეს ყოველწლიურ საშუალო შემცირებამ მდ. სუფსას აუზში შეადგინა 0.0022 C/წ, ხოლო ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურის ყოველწლიურ შემცირებამ 0.033 C/წ. მდ. ხრამის აუზში მდ. ხრამის აუზში ჰაერის ტემპერატურის ცვლილება უფრო დიდი სიჩაქრით მიმდინარეობდა, საშუალოწლიურმა ნაზრდმა აქ შეადგინა 0.0058 C/წ, ხოლო ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურის საშუალო ნაზრდმა შეადგინა 0.0034 C/წ. ატმოსფეროს ტენზონის ცვლილება ორივე აუზში თანაბარია და დაიკვირვება ჰაერის პარციალური წნევის გაზრდა საშუალოდ 0.0032-0.0034 კპა/წ., ხოლო შეფარდებითი სინოტივისა - 0.01-0.02 %/წ.

როგორც ზემოდ იყო აღნიშნული, ძირითადი მეტეოლოგიური ელემენტების ცვლილების შესაფასებლად, რომლებიც ახასიათებენ რეგიონული კლიმატის რეჟიმს და მის ცვლილებას, გამოყენებული იყო 90 და 56 წლიანი პერიოდები. ამიტომ, საჭირო იყო გაგვერკვია, თუ როგორ შეესაბამება კლიმატის ცვლილებას

შედარებით ხანმოკლე პერიოდები კლიმატის გრემქმეპერიოდთან ანომალები დაკორეგებთან ორი პუნქტისათვის - ანასეული და დმანისი, ხამი პერიოდისათვის 1906-1995, 1936-1991 და 1954-1991წ. ანომალთა შეფასებამ აჩვენა, რომ ტემპერატურეს ვეილს (ველილეებამ ეველა პერიოდში ორივე პუნქტისათვის მიმდინარეობს იდენტურად. აგრამ, ბოლო პერიოდში, ველილეების ხიდიუ მიტულეობს მდ. სუფსას აუზში - აცეების, მდ. ხრამის აუზში კ - დათბობის მიმართულეობთ.



მეტად თავისებურად მიმდინარეობს განხილული მეტეოლოგიკური ველილეობა (კალკულ თეების განმავლობაში ნახ I წარმოდგენილია ამ ველილეობათა ქისტოგრაფები ნახ I (ა) მონაცემების თანახმად აცეების პროცესები მდ. სუფსის აუზის ტერიტორიაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნოემბერში და ხასიათდება სიდიდით - 0.013 C/წ. მდ. ხრამის აუზში დათბობა აღინიშნება ეველა თეეში, განსაკუთრებით იანვარში, აპრილისა და მაისში, როდესაც პავრის ტემპერატურის საშუალო წლოური ზრდა აღემატება სიდიდეს 0.01 C/წ განსაკუთრებით აღსანიშნავია დათბობის მოვლენა აპრილში, რომელიც დამახასიათებელია მოელი სუბტროპიკის ტერიტორიისათვის ამ თეეში ტემპერატურის საშუალო წლოური ზრდა, როგორც დასავლეთით, ისე აღმოსავლეთ სუბტროპიკის ალქვის მაქსიმუმს.

ქვევინილი ზედაპირის ტემპერატურის (ველილეების სურათი კარდინალურად განსხვავდება პავრის ტემპერატურის (ველილეების განწილეებისაგან (იხ ნახ I (ბ.)) მდ. სუფსას აუზში მოელი წლის განმავლობაში და, განსაკუთრებით ცივ პერიოდში, დიკორეგება ნიადაგის ზედაპირული ფენის ტემპერატურეს მვეთორი შემცირება სიდიდემდე 0.06 C/წ. (იანვარი, მაისი და დეკემბერი). მდ. ხრამის აუზში აგრეთვე აღინიშნება ნიადაგის გაცეობა, გარდა მარტისა, აპრილისა, იელისის და სექტემბრის თეეებისა. მაგრამ აღნიშნულ თეეებში დიდი დადებითი ანომალიები, განსაკუთრებით აპრილში (0.063 C/წ) და სექტემბერში (0.071 C/წ), განაპირობებენ ქვევინილი ზედაპირის ტემპერატურის ველში საერთო საშუალო წლოური დადებით ტენდენციეს

ნახ. I (გ) და I (დ) თანახმად, რომლებზედაც წარმოდგენილია წელის ორთქლის პარციალური წნევის და შეფარდებითი სინოტივის ველილეობები, საშუალოთეური ანომალიები დადებითა მოელი წლის განმავლობაში, მისის გარდა. ამ თეეში აღინიშნება წელის ორთქლის პარციალური წნევის შემცირება ორივე აუზში. სინოტივის ველის დადებითი ტენდენცია განსაკუთრებით გამოკვეთილია იელის-აცეების აუზში და მდ. ხრამის აუზში შეადგენს სიდიდეების 0.01 კპა და 0.06%/წ-მდე

